ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 191

ბაღდათი: **6 დეკემბერი 2018 წელი**

ერთის მხრივ,

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერია
წარმოდგენილი ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის, კახა ენუქიძეს სახით,
მის: ბაღდათი, წერეთლის ქ. №9
საიდენტიფიკაციო ნომერი: №225064471
ტელეფონის ნომერი: +995 595900715
ხაზინის ერთიანი ანგარიში: TRESGE22
ანგარიშის ნომერი: 200122900
(შემდგომში შემსყიდველი)

და მეორეს მხრივ,

შ.პ.ს „მერქანი"
წარმოდგენილი დირექტორის, **ტატული ტაბეშაძის** სახით,
მისამართი: ბაღდათი, სოფ. ვარციხე

საიდენტიფიკაციო ნომერი: №425052202
ტელეფონის ნომერი: 598359535
საბანკო რეკვიზიტი: ს.ს. „ლიბერთი ბანკი"
ბანკის კოდი: LBRTGE22
ანგარიშსწორების ანგარიში: № GE30LB0113111442293000
(შემდგომში მიმწოდებელი)

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" 10' მუხლისა მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების შესაბამისად.

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ _ ,,ხელშეკრულება") _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 ,,ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 ,,შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ ,,შემსყიდველი") ნიშნავს პირს, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 ,,მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 ,,დღე", ,,კვირა", ,,თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს;

1.6 „საქონელი"– ხელშეკრულების მე–2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

2. ხელშეკრულების ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

2.1 შენობების გადასახური მასალის ფარგლებში 100მ³ წიწვოვანი დახერხილი სამასალე მერქნის (52,7მ³ კოჭა ზომით 8/16სმ, 47,3მ³ დაფინვის ფიცარი ზომით 12/3სმ) შესყიდვა.

2.2 კლასიფიკატორის კოდი – CPV44112500 .

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით შეადგენს: **64000 (სამოცდა ოთხი ათასი)** ლარს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლი განხორციელდება ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის მიერ.

4.2 ,,მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ,,შემსყიდველი", კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ ,,შემსყიდველი" კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით ,,შემსყიდველი".

4.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ ,,შემსყიდველი" დაუყოვნებლივ სიტყვიერად, შემდეგ კი წერილობით აცნობებს ,,მიმწოდებელს" დაწუნებული საქონლისა და გაწეული მომსახურების ნაწილს წუნდების მიზეზების მითითებით.

4.4 ,,მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

5. საქონლის მიწოდების პირობები და ვადები

5.1 „მიმწოდებელმა" საქონლის მიწოდება უნდა განახორციელოს ეტაპობრივად, ბაღდათის მუნიციპალიტეტის შესაბამის სოფლებში ადგილზე ტრანსპორტირებით ხელშეკრულების დადებიდან 2018 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით.

5.2 ,,მიმწოდებელი" ვალდებულია გადასცეს ,,შემსყიდველს" უფლებრივად და ნივთობრივად ხარისხიანი და უნაკლო საქონელი.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი და საგარანტიო ვადა

6.1 მოწოდებული საქონლის საგარანტიო ვადა შეადგენს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 3 (სამი) წელს. მოწოდებული საქონლის ხარისხზე სრულ პასუხისმგებლობას იღებს მომწოდებელი.

6.2 საქონლის მიღება-ჩაბარება მოხდება ერთჯერადად ან ეტაპობრივად.

6.3 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება–ჩაბარების აქტის დადასტურების შემდეგ.

6.4 მიღება – ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს: საქონლის დასახელება, რაოდენობა და ღირებულება.

6.5 შესყიდვის ობიექტის მიწოდების დამტკიცებას ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის დადასტურების საფუძველზე ახორციელებს ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერი.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება „მიმწოდებლი"–ს წერილობითი მომართვის საფუძველზე, რომელსაც უნდა დაერთოს:

ა)ფაქტიურად მიწოდებული საქონლის დასახელების, რაოდენობის და ღირებულების შესაბამისად გაფორმებული მიღება ჩაბარების აქტი, შესაბამის სერტიფიკატთან ერთად.

ბ) მიწოდებელი საქონლის შესაბამისად ამოწერილი დღგ–ს ანგარიშფაქტურა.

7.2 ანგარიშსწორება მოხდება ეტაპობრივად, ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად, დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

8.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია არა უგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღისა (ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდებული საქონლის ვადის გასვლამდე) წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები ,,შემსყიდველი" ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

8.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

8.5 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართი-შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებულ აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების (დანართი-შეთანხმება) შეტანის გზით.

10. მხარეთა უფლება–მოვალეობები

10.1 ,,შემსყიდველი" უფლებამოსილია: ხელშეკრულების მოქმედების ვადის დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს ,,მიმწოდებლისგან" მისთვის საჭირო ინფორმაცია

10.2 ,,შემსყიდველი" ვალდებულია: უზრუნველყოს ,,მიმწოდებლი"–ს მიერ მიწოდებული საქონლის ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით.

10.3 ,,მიმწოდებელი" უფლებამოსილია: მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

10.4 ,,მიმწოდებელი" ვალდებულია: დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა, ხელშეკრულების შეწყვეტა (საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა)

11.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობ(ებ)ის შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული ნაწილის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

11.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს დაუყოვნებლივ, გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე.

11.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1 %-ის ოდენობით.

11.4 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების 11.3 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ოდენობა ჯამში მიაღწევს მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 3%–ს, „შემსყიდველს" უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

11.5 ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელია მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით.

11.6 ხელშეკრულების (სრული ან ცალკეული ნაწილის) შეწყვეტის კანონით დადგენილი წესით დადასტურების შემთხვევაში, მხარე რომელმაც არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, გადაიხდის პირგასამტეხლოს, ხელშეკრულების ღირებულების 20%-ის ოდენობით.

11.7 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, „მიმწოდებლის" დაჯარიმების შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ასანაზღაურებელი თანხიდან, საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არასაგადასახადო ანგარიშსწორების ერთიან ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში.

11.8 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს" ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. დაუძლეველი ძალა

12.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ;

12.2 თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

12.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

13.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. შეტყობინება

14.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის სახით, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.
14.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2019 წლის 20 იანვრის ჩათვლით.
15.2 ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. 1 (ერთი) პირი „მიმწოდებელთან“ და 1 (ერთი) პირი „შემსყიდველთან“.

მხარეთა ხელმოწერები:

შემსყიდველი:

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე

_____

კახა ენუქიძე

მიმწოდებელი:

შ.პ.ს „მერქანი“-ს დირექტორი

_____

ტატული ტაბეშაძე